



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №50
2014 წლის 1 აგვისტო
ქ. დუშეთი

„დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მიზნით მუდმივმოქმედი კომისიის შექმნისა და მისი შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 19 ნოემბრის №43 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

1. განკარგულების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დამტკიცდეს მუდმივმოქმედი კომისიის შემდეგი შემადგენლობა:

1. გიორგი ცოკილაური - საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარე;

2. გივი ქავთარაძე - მუნიციპალიტეტის ქონების მართვის, ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

3. სალომე კაკაბლიშვილი - საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრი;

4. რაჟდენ დუდაური - სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და ურბანული განვითარების განყოფილების მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი;

5. გივი უჯარაშვილი - შიდა ქართლისა და მცხეთა - მთიანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, კომისიის წევრი.“

2. ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი